

დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №

2014 წლის

ქ. დუშეთი

**„დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“
დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 16 ივლისის N11
დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 41-ე მუხლის მე-3 ნაწილის, 61-ე მუხლის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

შეტანილი იქნეს ცვლილება დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 16 ივლისის N11 დადგენილებით დამტკიცებულ დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტში (სსმ 18/07/2014, ს/კ 010250040.35.152.016175). კერძოდ, რეგლამენტის მე-16 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ხარჯების დათვლის პრინციპი:

ა) საკრებულოს, საკრებულოს კომისიების და ფრაქციების სხდომებზე დასასწრებად გაწეული ხარჯების ანაზღაურება ხდება თვეში მაქსიმუმ 10 სხდომაზე დასწრებისათვის, თითოეულზე 50 ლარის ოდენობით. ხარჯების დამადასტურებელ დოკუმენტად ჩაითვლება საკრებულოს, საკრებულოს კომისიების/ფრაქციების სხდომებში მისი მონაწილეობის ამსახველი ჩანაწერები.“

მუხლი 2.

დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე

საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ლაფანაშვილი